საქართ. მემარცხენე სოციალ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია   მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 100,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 500,000 უკანასკნელზე 300,000 მ. განცხადება 10.000მ. ნონპარელის სტრიქონი. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება 10—12 ს. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტისყუთი № 189, ტელეფონი 10—34.

№ 344
ოთხშაბათი, ნოემბრის 15
1922 წ.

ტფილ. ფასი 50ათ მან. ▭ პროვინც. 5000 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსთაველის თეატრი

სახელმწიფო აკადემიური დრამა

შაბათს 12 ნოემბერს

ვიდრე ხვალ?

დადგმა ა. ფაღავასი

კვირას 19 ნოემბერს

ალლუმი

დასაწყისი სრულ 8 საათზე

კრ. 528   4—1

სახელმწიფო აკადემიური თეატრი

ოპერა

ერთ საღამოს ორი ოპერა

ოთხშაბათს 15 ნოემბერს

ჯამბაზები ქეთო და კოტე

ხუთშაბათს 12 ნოემბერს

ლაკმე

დასაწყისი სრულ 8 ს. მე 3 ზარის შემდეგ დარბაზში შესვლა აკრძალულია.
კასსა ღიაა 11—2 სა-მდე და საღამოს 6-დან წარმოდგენის დამთავრებამდე.

კრ. 144   1—1

მორიგი ამოცანები

საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის ხელმძღვანელ კომიტეტის კონფერენცია დამთავრდა. კონფერენციის მუშაობის მთავარი საკითხი გახლდათ [illegible] დიდი პრობლემა, რომელიც, ფრიად [illegible] ყურადღების ობიექტი იყო.

მეტად დიდი საკითხი იყო ჩვენი მუშაობის საგანი. ფედერაციის პრობლემა [illegible] უდიდესი პრობლემა იყო ისეთი თეორეტიკოსების, როგორც მონტესკიე, ლაბანდი, იელინეკი, ან ისეთი პრაქტიკოსების, როგორც იმპერიალისტ ჩემბერლენის ან რადიკალ დემოკრატის ჰამილტონის.

რუსეთი, რომელიც არა ცენტრალისტური პოლიტიკური იდეოლოგიის ნიადაგზე აღიზარდა, მხოლოდ ამ ჟამად იწყებს მრავალ საბჭოთა წყობათა ფედერაციის მიხედვით აღშენებას. ამ ისტორიულ პროცესს საერთაშორისო ფედერაციის თვალსაზრისით უდიდესი პროგრესული და საკაცობრიო მნიშვნელობა აქვს. მსოფლიოს ერთი მეექვსედის ფედერატიულად მოწყობა მას შემდეგ, რაც ამავე საფუძვლებზე მოწყობილია ისეთი დაწინაურებული ქვეყნები, როგორც ამერიკა, შვეიცარია, გერმანია, სავსებით მოასწავებს იმ უდიდეს ახალ ეპოქას, რომელიც სცვლის დიდი რომის, ბრიტანიის ან ნაპოლეონის დიდებულებათა მიხედვით აგებულ სახელმწიფოთა ცხოვრების სტრუქტურას.

რა გვარ ფორმაშიაც არ უნდა ჩამოყალიბდეს მსოფლიოს ფედერაცია, მთელი ჩვენი სიმპატია იქნება ასეთ მიმართულებით მუშაობაში. რასაკვირველია ეს იმას იოტის ოდნავადაც არ ნიშნავს, რომ ყოველგვარ ფედერაციას ჩვენ ერთგვარის აღმაფრენით შევხვდეთ და მას არ დაუპირისპიროთ დოქტრინა, რომელიც გამომდინარეობს სოციალისტურ ფედერალიზმის პრინციპიდან.

ანგლო-საქსურ ფედერალიზმის დამახასიათებელი იერარქიულ პრინციპის შეტანა სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, ესე იგი ის ნიშნავს ეროვნულ ურთიერთობის სფეროში იმ ხაზგასმითი თვისებების შეტანას, რომელსაც ჩვენ ვამჩნევთ საზოგადოებაში კლასობრივი თვისებების პრინციპის დაცვას და გატარებას.

როგორც შინაურ ეროვნულს ცხოვრებაში ჩვენ ვგმობთ იმპერიალიზმს და მის ყოველ გვარ პოლიტიკურ ფორმულას — შოვინიზმს და პან-ერის იდეოლოგიას, ისევე ფედერაციაში, ერთა შორის პოლიტიკურ კომბინაციაში ჩვენ უარვყოფთ პან-ერის პრიორიტეტს და ვიცავთ ერთა თანასწორობას, სულ ერთია ფედერაციის მონაწილე ერი 60 მილიონიდან შესდგება თუ ორი მილიონი ხალხიდან.

ეს პოლიტიკური მრწამსი—ერთად ერთი სალი სოციალისტური ეროვნული მოძღვრება გამომდინარეობს ჩვენი ეროვნული ფედერალიზმის საფუძვლიდან. ჩვენ ფედერაციაში შეგვყავს ერი, როგორც სუბიექტი და არა როგორც ტერიტორიალური ობიექტი, როგორც ეს არის შეერთებულ შტატებში.

ჩვენ გვირჩევნია ტერიტორიალური ფედერაცია ამორფულ პოლიტიკურ ცენტრალიზმს, მაგრამ მიგვაჩნია, როგორც პოლიტიკური ვოლუნტარიზმი სუბიექტურ განცდათა სამყაროში გადატყორცნა, რასაც არასოდეს ავყვებით. ჩვენი პოლიტიკური მრწამსი კი ფედერაციის შენებას ინდივიდუალისტურ-პერსონალურ პრინციპის მიხედვით, რაიცა ერს ახასიათებს, როგორც გამოკვეთილს და მთლიან ორგანიზმს.

ჩვენი პრესა ისტორიულად სდგას ამ სალ სოციალისტურ პრინციპზე. გარნა რუსეთში წამოყენებულია ტიტველი ტერიტორიალური ფედერაციის პრინციპი. ამაშია საფუძვლიანობა ჩვენი დავისა კომუნისტებთან.

ამიერ-კავკასიის კომუნისტურ პარტიათა კონფერენციამ მიიღო ტერიტორიალური პრინციპი, მაგრამ საბოლოო ორგანიზაცია საბჭოთა კავშირისა სავსებით გამოირკვევა და ჩამოყალიბდება ყველა მოკავშირე რესპუბლიკების ყრილობაზე.

ძველი რუსეთი, რომლის ფარგალში 55 პროც. მომწყვდეული იყო რამდენიმე ისტორიული კულტურული ერი, უეჭველად დაადგება პერსონალურ-ნაციონალურის გზით კავშირის შენებას, რამდენადაც ხსენებულ საბჭოთა რესპუბლიკებს ნეპის პოლიტიკა სავსებით არ აცდენს ჭეშმარიტ სოციალისტურ და კომუნისტურ გზას.

ამ ისტორიულ პროცესში ჩვენი პარტიის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა მეტად დიდი და საყურადღებოა. ამ დიდ საკითხში ჩვენ გვმართებს დიდი სიფხიზლე და ენერგიული მოქმედება.

კავშირის ფარგალში ჩვენ ძალიან დიდი მოვალეობა გვადევს. ეს არის ყოველი სახელმწიფოებრივი საკითხის ჩამოყალიბება და სალი ეროვნული კულტურის ყოველივე ატრიბუტის გაფურჩქვნა და განვითარება. მტკიცე პოლიტიკური კავშირი ყველა რესპუბლიკების აუცილებელი საწინდარია საერთაშორისო კაპიტალისტურ სახელმწიფოების დანგრევისა, ესე იგი გარანტია ყველა იმ ღირებულებათა შესანარჩუნებლად, რომელიც შედეგია რუსეთის ოქტომბრის რევოლუციისა.

გზა და გზა ამ მიმართულებით მუშაობა და ბრძოლა ჩვენი პარტიის მთავარი ორგანოს და ფედერალების მოვალეობაა.

მაგრი.

პრესა

გაზეთ „ბახტრიონის" № 19 ეხება ხელოვანთა კავშირის საკითხს, აღნიშნავს მისი არსებობის პირობებს წინედ და ამბობს:

„...იწყება დეკადანსი მწერალთა კავშირის. საბჭოთა კონსტიტუციით ვერ მოხდა მისი ლეგალიზაცია, რადგან კავშირები ამ კონსტიტუციით წარმოებით სისტემაზე არის აგებული, ამან უფლებრივად ბევრი ზიანი მისცა მწერალთა კავშირს, მაგრამ ამას კიდევ იმდენი უბედურება არ ექნებოდა, რომ თვითონ კავშირი არ დაქსაქსულიყო. პირვანდელ მწერალთა კავშირის მაგიერ, რომელსაც ყველა ენტუზიაზმით ეკიდებოდა, დღეს მწერალთა კავშირი დაარსდა „აჭარისტანში" (ამას თავის დროზე განიხილავს ისტორია) მწერალთა კავშირი დაარსდა ქუთაისში, რომელსაც აქვს თავისი გამოცემები და სრულიად ანგარიშს არ უწევს ტფილისს. თვითონ ტფილისში კავშირი ორად გაიყო და არც თუ საერთო მუშაობაზე შეიძლება ლაპარაკი, პირიქით აქ ზოგიერთ უპასუხისმგებლო პირებმა ისეთი ანტაგონიზმი დაბადეს, რომ ლამის არის მწერლობა ყველას შეაძულონ. იყო შემთხვევა, რომ ამას წინად მწერალთა კავშირის საზეიმო სხდომაც კი დაიხურა იმ ობსტრუქციის გამო, რომელიც გამართა მწერლობის ერთმა ჯგუფმა, რომელიც შესდგებოდა უმთავრესად ახალგაზრდებისაგან.

ამით აიხსნება ისიც, რომ მწერალთა კავშირი კონფერენციასაც ვერ იწვევს და ატმოსფერა თანდათან მწვავდება ეს იმ დროს, როცა არასდროს არ ყოფილა საჭირო ერთობა როგორც დღეს, რადგან ლამის არის მწერლობა მოგონებათ იქცეს და ქართული წიგნი სრულიად მოისპოს.

ამ დროს მეტი ყურადღება და მეტი მუშაობაა საჭირო, რომ ქართველ ხელოვნების მთავარი შტაბი, ხელოვანთა მთავარი კომიტეტი შეიქნეს ხელოვნების ნამდვილ ცენტრად".

გაზეთი აღნიშნავს იმ მუშაობას, რომელიც განზრახული აქვს ხელოვანთა კომიტეტს და დასძენს:

„დღეს მთავარი ხელოვანთა კომიტეტი არის ის უზენაესი ორგანო, რომელიც გაამაგრებს სხვა ხელოვანთა კავშირებს, რომელნიც ან დეზორგანიზაციის გზას ადგანან, ან ორგანიზაცია ვერ მოუწყვიათ.

თუ ხელოვანთა მთავარ კომიტეტს ექნება ეს სიმპატია და ნდობა ქართველ ხელოვანთა განურჩევლად ხელოვნების დარგისა, მიმართულებებისა, ის გამარჯვებული გამოვა კატასტროფიულ მდგომარეობიდან და ქართულ ხელოვნებას გადაუხდელ სამსახურს გაუწევს".

ჟურნალ-გაზეთებიდან

შავი ინტერნაციონალი. ამ ინტერნაციონალის ცენტრი არის—იტალიის ფაშისტები. მასთან მიდიან უნგრეთის შავი კავშირი „გამოღვიძებულ მადიარებისა", გერმანიის მონარქისტები, განსაკუთრებით ბავარიის, შემდეგ საბერძნეთ-ბულგარეთში, ჩეხო სლოვაკიაში და სხვ. პროექტი არის შემოღებულ იქმნეს ფაშიზმი პოლონეთშიაც. იტალიის ფაშისტების ბელადმა მუსოლინიმ მისწერა წერილი „გამოღვიძებულ მადიარების" კავშირს, რომელშიაც წინადადებას აძლევს მათ მიჰმართონ მთელი ძალ-ღონე იქითკენ, რომ ჩაიგდონ ხელში ძალაუფლება და მაშინ შეუერთდნენ ფაშისტების იტალიას, რომელიც, მისი რწმენით, ასეთ მომავალში იქნება მომხდარი ფაქტი (როგორც ვიცით, მუსოლინის იმედები გამართლდა და დღეს იტალია ფაშისტების ხელშია, მგ.) ფაშისტური კომიტეტი ინტერნაციონალურ ფაშისტებისა განსაკუთრებული ენერგიით მუშაობს გერმანიაში ხელი ხელ ჩაკიდებული გერმანიის მონარქისტებთან. გეგმა ასეთია: უწინარეს ყოვლისა ძალაუფლების ხელში ჩაგდება იტალიაში, შემდეგ ცენტრალურს ევროპაში და დამყარება თეთრი ტერორის რეჟიმისა კომუნისტებისა და საერთოდ ყველა პროლეტარული ორგანიზაციების წინააღმდეგ. ფაშისტები არწმუნებენ გერმანის მონარქისტებს, რომ ჩაიგდებენ ისინი თუ არა ხელში ძალაუფლებას იტალიაში, ისინი დაეხმარებიან სამხედრო ძალებით მოახდინონ მონარქიული გადატრიალება ცენტრალურს ევროპაში. სხდომა ფაშისტების ინტერნაციონალური კომიტეტისა მოხდა ამ დღეებში რომში, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ბავარიისა და უნგრეთის მონარქისტებმა.

ფაშიზმი. როგორც „ფორვერტსი" აღნიშნავს გერმანიის ბურჟუაზიის წრეებში არის შიში ფაშიზმით გატაცების. გაზეთი მოგვაგონებს მუსოლინის ჩამოსვლას ბერლინში ფაშისტების გენერალ კაპელის თანხლებით, რომლებმაც კონტაქტი დაიჭირეს გერმანიის ნაციონალისტებთან. „ფორვერტსის" აზრით ფაშისტების პროგრამაში შედის ინტერვენცია საბჭოთა რუსეთში, რომელიც მათი შეხედულებით მოხდება მაშინ, როდესაც ევროპის ქვეყნებში ძალა-უფლება გადავა უკიდურეს რეაქციონერების ხელში.

გამოხმაურება საფრანგეთში. საფრანგეთის პრესა ფაშისტურ გადატრიალებას ეპყრობა თავშეკავებულად და არა მტრულად. „მატენი" და „ტანი" კმაყოფილია მით, რომ ფაშისტები სარეპარაციო საკითხში ადგას საფრანგეთის აზრს.

„ტანი" ურჩევს გერმანეთის მემარჯვენე პარტიებს, რომ ამ მახლობელ კვირეებში იყვნენ ფრთხილად, რადგან მიუნხენსი შორს არ არის მილანიდან და გერმანიის მონარქისტები ყურადღებით ზვერავენ ფაშისტურ მოძრაობას.

შვეციის ფაშისტების ოცნება. ფაშისტების გამარჯვებამ იტალიაში ნახა თავისი გამოძახილი აგრეთვე შვეციის რეაქციონერთა შორისაც. პოლკის უფროსმა [illegible] გაზეთის ფურცლებზე მოუწოდა შექმნათ შვეციაში ხალხური მოძრაობა ფაშისტების მსგავსად „ქვეყნის გადასარჩენად და განადგურებისაგან". ამ მოწოდების საწინააღმდეგოდ შვეციის კომუნისტების ლიდერმა ხეგლუნდმა დაწერა „პოლიტიკენში" წერილი, რომელშიაც მოუწოდებს შვეციის პროლეტარიატს განამტკიცონ გაერთიანებული ფრონტი თავდაცვისა წინააღმდეგ შვეციის ფაშისტებისა. „სოციალ-დემოკრატენ"-ი აღნიშნავს პროპაგანდის აუცილებლობას ჯარში დემოკრატიული რეჟიმის დასაცავად.

ინგლისის თემთა პალატის შემადგენლობა. ამ დღეებში ინგლისში უნდა მოხდეს პარლამენტის არჩევნები, ამიტომ ინტერესს მოკლებული არ არის გავეცნოთ თემთა პალატის ახლანდელ პარტიულ შემადგენლობას. თემთა პალატაში არის სულ 707 დეპუტატი, რომელიც განაწილებულია შემდეგ ნაირად პარტიებს შორის:

ა) მმართველი პარტიები:	
კოალიციის უნიონისტები	323
კოალიციის ლიბერალები	123
ნაციონალ-დემოკრატები	12
სულ	464
ბ) ოპოზიცია:	
ლიბერალები	34
უნიონისტები	49
მუშათა პარტია	69
სინფეინერები	73
ნაციონალისტები	7
სხვა პარტიები	12
სულ	243

„თავისუფალი ირლანდიის სახელმწიფოს" შექმნის გამო ადგილები ახალს პარლამენტში შემცირდება 615-დე, რომელიც განაწილდება შემდეგნაირად: ინგლისი—444, უელსი—36, შოტლანდია—74, ულსტერი—13.

ახლო აღმოსავლეთი

ინგლისი და ლოზანის კონფერენცია

მანჩესტერი 13 ნოემბერი. „პტი პარიზიენის" ცნობით, ინგლისის მთავრობამ უფრო ხელსაყრელად მიიჩნია სრულებით უარი სთქვას ლოზანის კონფერენციაში მონაწილეობის მიღებაზე, ვიდრე გამოაშკარავებულ იქნას კონფერენციაზე მოკავშირეთა უთანხმოება ოსმალეთის საკითხში.

უმაღლეს კომისრების მუქარა

მანჩესტერი, 13 ნოემბერი. სტამბოლის ცნობით, მოკავშირეთა უმაღლეს კომისრებმა მოსთხოვეს ანგორის მთავრობას გააუქმოს ყველა მის მიერ მიღებული ზომები, რომელნიც ეხებიან საბაჟო გადასახადებს, სახელმწიფო ვალებს და კაპიტულაციას; ვინაიდან ეს ზომები ეწინააღმდეგებიან მუდანიის შეთანხმებას. უმაღლესი კომისრები ანგორას მიერ ამ მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში იმუქრებიან ძალდატანებითი ზომების მიღებით.

სულთანი დაიკარგა

მანჩესტერი 13 ნოემბერი. ინგლისის მთავრობა აცხადებს, რომ მან არ იცის სულთნის ყოფნის ადგილი და რომ იგი არ იმყოფება ინგლისის გემზე.

„ტაიმსის" აზრი

ნაუენი 13 ნოემბერი. „ტაიმსი" სწერს, რომ ახლო-აღმოსავლეთის მდგომარეობა ვერ არის სწორად გაგებული საფრანგეთის მიერ. გაზეთი მოითხოვს ინგლისის მთავრობისაგან, რომ მან გასინჯოს შესაძლებელია თუ არა კონფერენციის მოწვევა ლოზანაში და გამართლებულია თუ არა დიდი ბრიტანეთის მონაწილეობა კონფერენციის მუშაობაში. გაზეთი დასძენს, რომ თუმცა ინგლისი მოწადინებულია საკონტრიბუციო საკითხი გადაწყვეტილ იქნეს სამართლიანად საფრანგეთის მიმართ, ინგლისის პოზიცია ამ საკითხში დამოკიდებულია იმაზე, რა გზას დაადგება საფრანგეთის მთავრობა ახლო-აღმოსავლეთის საკითხში.

ისმეტ-ფაშას თათბირი პუანკარესთან

კროიდონი 13 ნოემბერი. პარიზში მოელიან ისმეტ ფაშას ჩამოსვლას, რომელსაც ექნება პუანკარესთან თათბირი.

მოკავშირეები ხელიდარულად მოქმედობენ.

კროიდონი 13 ნოემბ. ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის მთავრობები შეთანხმებული არიან ახლო-აღმოსავლეთის საკითხში: მდგომარეობა ამჟამად არ იძლევა გაუმჯობესების ნიშნებს, სავსებით აშკარად ღიარებენ მოკავშირეების წრეებში, რომ ოსმალეთის უკანასკნელი მოთხოვნილებანი არღვევენ მუდანიის და მუდროსის შეთანხმებას.

„სანდი ტაიმსის" აზრი.

კროიდონი 13 ნოემბ. ყოფილ კაბინეტის ორგანო „სანდი ტაიმსი" დღევანდელ მოწინავე წერილში ამბობს, რომ ლორდ კერზონი და ბონარ ლოუ თავიანთ მოქმედებაში ჰპოვებენ სრულ დახმარებას, ვინაიდან სახელმწიფო ხედავს, რომ მთავრობას დიდი რთული საკითხები აქვს გადასაჭრელი და მას მიეცემა მოქმედების სრული თავისუფლება. გაზეთი მოუწოდებს მოკავშირეებს სრულ ურთიერთ თანხმობისაკენ ახლო-აღმოსავლეთის საკითხში და ურჩევს მათ არ გაგზავნონ სტამბოლში ისეთი ნაწილები, რომელიც პროვოკაციულ ხასიათს მიიღებს, რათა ამ გზით თავიდან აცილებულ იქნეს ინციდენტი.

„ობსერვერის" აზრი.

კროიდონი 13 ნოემბ. „ობსერვერი" მოწინავე წერილში ამბობს: გამარჯვებისა და რევოლუციის მომენტში ოსმალეთმა შესაძლებლად დაინახა წამოეყენებინა ისეთი მოთხოვნილებანი, რომელიც მიუღებელია როგორც ინგლისის, საფრანგეთის და იტალიისათვის, აგრეთვე მცირე ანტანტისათვისაც, ამავე დროს იმათ ჩამოაგდეს სულთანი. ოსმალეთში მტკიცედ უნდა იცავდნენ მუდანიის კონფერენციებს. ისინი დარჩებიან ევროპაში და იქნებიან სრულებით

მოკავშირეები მხოლოდ იმ პირობებში რომელთაც შეიმუშავებს ლოზანის კონფერენცია.

სტამბოლის ევაკუაციის ვადა.

კროიდონი 18 ნოემბ. მთელი პრესა ლაპარაკობს, რომ თუმცა მოკავშირეები არასოდეს არ ფიქრობდნენ სტამბოლის დაბრუნებას ოსმალეთისადმი, მაგრამ შექმნილ მდგომარეობის დროს ძლიერ მნიშვნელოვანია სტამბოლის მოკავშირეების მიერ ევაკუაცია.

სტამბოლში.

კროიდონი 13 ნოემბერი. სტამბოლიდან მიღებული ცნობები იუწყება: მიუხედავად იმისა, რომ მოკავშირე გენერლები კომპრომისზე წავიდნენ რაფეთ-ფაშასთან ოსმალეთის ჟანდარმერიის და პოლიციის საკითხში, მდგომარეობა კრიტიკულია. ოსმალონი მოითხოვენ მოკავშირეების ევაკუაციას სტამბოლიდან საზავო კონფერენციის დაწყებამდე. მოკავშირეთა გენერლების თათბირმა ადგინა, რომ მდგომარეობა სერიოზულია და ემუქრება მოკავშირეთა ჯარებს, ვინაიდან რაფეთ ფაშის განკარგულებით ოსმალეთის ჟანდარმერიის და პოლიციის საკმაო ძალებია მოქცეული.

პარიზი. 13 ნოემბერი. ქალაქის სააზიო ნაწილში ოსმალეთის მეფურნეები არ ყიდიან პურს უცხოელებზე.

ინტერვიუ რაფეთ-ფაშასთან.

პარიზი. 13 ნოემბერი. „პტი პარიზიენის" თანამშრომელს ხანგრძლივი ინტერვიუ ქონდა რაფეთ ფაშასთან, რომელმაც განაცხადა, რომ მას განზრახვა აქვს შეასრულოს მუდანიის შეთანხმება. მუდანიის შეთანხმება სრულებით არ გულისხმობს მოკავშირეთა ჯარების სტამბოლში ყოფნას. შემდეგ რეფეთ-ფაშამ განაცხადა, რომ არ ცნობს მოკავშირეთა ადმინისტრატიულ კონტროლის უფლებას.

ინგლისელები პროვოკაციას ეწევიან

ანგორა 11 ნოემ. სულთანი ვახიედინი კვლავ სასახლეში იმყოფება. გენერალი გარინგტონი აიმედებს ვახიედინს და არწმუნებს არ გადადგეს ტახტიდან. ინგლისელებმა ვახიედინის სახელით შეადგინეს დეკლარაცია მთელი მუსულმანებისადმი. პოლიციამ აღმოაჩინა მოწოდები, რომელსაც მიზნად ქონდა სულთანის მხარის დასაჭერათ მიმართულების შექმნა. სულთანის კარის კაცი ურიგებენ ფულებს აგიტატორებს, ეწევიან პროპაგანდას სულთანის სასარგებლოდ, ინგლისელების გავლენით სულთანმა პარასკევს გამართა მორიგი სელამლიკი.

ინგლისელებმა მოზიდეს სტამბოლში 15 ჰიდროპლანი, რომლებიც დაფრინავენ ქალაქის ზემოდ. ანგორის პრესის აზრით, ინგლისელებს სურთ წაიქეზონ მცხოვრებლები უწესოების გამოწვევისათვის.

კონფერენციის გადადება.

მანჩესტერი. 14 ნოემ. პარიზიდან ოფიციალურად იტყობინებიან ლოზანის კონფერენციის 20 ნოემბრისათვის გადადების შესახებ. საგარეო საქმეთა სამინისტროში შესდგა იურიდიული, სამხედრო და საფინანსო თათბირი ლოზანის კონფერენციაზე საფრანგეთის წარმომადგენლების მოქმედების ხაზის შესახებ.

მანჩესტერი 14 ნოემბერი. ლოზანის კონფერენციის გადადებამ, თუმცა კი მოახდინა პარიზში ძლიერი შთაბეჭდილება, მაგრამ მიღებულ იქმნა დამაკმაყოფილებლად ვინაიდან პუანკარეს გუნიანობას მომავალში შეიძლება მოჰყოლოდა საფრანგეთის სრული იზოლაცია რადგან კონფერენცია, რომ არ გადადებულიყო,—მასში, ინგლისსა და იტალიას გარდა, არ იქნებოდენ წარმოდგენილნი აგრეთვე სამხრეთ სლავია, საბერძნეთი, რუმინია და იაპონია.

მანჩესტერი, 14 ნოემბერი. პუანკარეს დიპლომატიურ დამარცხების გამო ლოზანის კონფერენციის გადადების საკითხის შესახებ დღე ნებით ლაპარაკობენ, რომ პუანკარეს, როგორც პრემიერის მდგომარეობა შეირყა. საზოგადოებრივი აზრი მხარს უჭერს კაბინეთის გადადგომას და პუანკარეს ვივიანით შეცვლას.

სტამბოლში

ქაირო 14 ნოემ. მდგომარეობა ისევ რთულია. საერთო აზრი ასეთია, რომ მოკავშირეებმა ან უნდა მიიღონ გაბედული ზომები ან სრულიად დასტოვონ სტამბოლი.

პარიზის თათბირისათვის

კროიდონი 14 ნოემ. ლონდონში გავრცელდა აზრი, რომ მოკავშირე ქვეყნების შინაური მდგომარეობა ხელს უშლის ლოზანის კონფერენციის მოწვევამდე წინასწარი თათბირის გამართვის შესაფერი ადგილის გამონახვას. ამიტომ გამოსთქვამენ აზრს, რომ თათბირი არ შესდგება. ფიქრობენ აგრეთვე, რომ მაინც და მაინც ეს წინასწარი თათბირი არც ისე საჭიროა, რადგან მოკავშირეთა პრემიერების ინტერესები ახლო აღმოსავლეთის საკითხში ერთნაირია, მაგრამ თუ თათბირი გაიმართა, ეს მოხდება იმიტომ, რომ მოკავშირეთა წარმომადგენლები ოსმალებთან შეხვედრამდე სისწორით განსაზღვრავენ თავიანთ მოთხოვნილებებს და პრეტენზიებს, ვინაიდან თუ ოსმალეთი იგრძნობს, რომ არსებობს მოკავშირეთა შორის უთანხმოება. აქედან ისინი იმ დასკვნას გამოიყვანებენ, რომ მათ მიერ დაჭერილი პოზიცია იყო ანტანტის განხეთქილების მიზეზი.

იტალიის დამხმარე სამხედრო ძალები.

კროიდონი. 14 ნოემბ. იტალიის კრეისერმა „რეჯინა რეჯელტამ" მიიღო ბრძანება გაემგზავროს კონსტანტინოპოლში.

კონსტანტინოპოლში სამხედრო წესების გამოცხადება.

კროიდონი. 14 ნოემბ. გაზ. „დეილი ტელეგრაფი" ამბობს, რომ ამ ჟამად კონსტანტინოპოლში საალყო წესების გამოცხადება საქმის ვერ გამოასწორებს. შეუძლებელია კონსტანტინოპოლში მოხდეს ოსმალეთის მიერ დაყენებულ ადმინისტრაციის შეცვლა.

უცხოეთი

საერთო გაფიცვები გერმანიაში.

ჰანოვერი. ნოემბ. 14. დიუსელდორფში ადგილი აქვს საერთო გაფიცვებს; გაფიცულთ მიემხრო ყველა მუშები. 12 ნოემბერს გაიმართა დიდი დემონსტრაციები და კომუნისტების კრებები, რომელნიც მოითხოვენ მუშათა მთავრობის დაწესებას.

პრეზიდენტმა მიიღო სასწრაფო ზომები უწესოების მოსასპობად, მაგრამ პოლიცია მისი მცირერიცხოვნობის გამო, უძლური გამოდგა, გამოსვლებს ადგილი აქვს სხვა და სხვა ქალაქებში.

გერმანიის მთავრობის რეკონსტრუქცია.

ჰანოვერი. ნოემბ. 14. გერმანიის მთავრობის რეკონსტრუქციის პროექტს დიდი დაბრკოლებები ელოდება. ნოემბრის 13-სათვის დანიშნული იყო რეიხსტაგის გახსნა. ამ დღისათვის რეიხსკანცლერს უნდა წარმოეთქვა სიტყვა გერმანიის საგარეო და საშინაო პოლიტიკის შესახებ, მაგრამ ეს სიტყვა გადადებულია.

სტინნესის განცხადების შესახებ

კროიდონი 14 ნოემბ. სტინნესმა სახელმწიფო ეკონომიურ საბჭოში წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა, რომ მარკის სტაბილიზაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში არის შესაძლებელი, თუ კი მუშები ათი-თხუთმეტი წლის განმავლობაში ორი ზედმეტი საათს უსასყიდლოდ იმუშავებენ. მხოლოდ ეს მოსპობს ეკონომიურ კრიზისს.

სამხრეთის ფრონტზე

მოსკოვი. 14 ნოემ. იუზოვკაში დაიწყო მუშაობა ქიმიურმა ქარხანამ, რომელიც ამზადებს ბენზოლს, სმიოლს და სხვა ქიმიურ პროდუქტებს.

— უკრაინის ეკონომიურმა საბჭომ გადადვა თანხები იუზოვკის ძლიერი ელექტრო სადგურის ასაშენებლად.

უკრაინა და გერმანია

მოსკოვი. 14 ნოემ. რაპალოს ხელშეკრულების უკრაინაზე გავრცელების გამო, გერმანიის სრულ-უფლებიანმა წარმომადგენელმა უკრაინაში ფონ ჩიუდენი ინახულა უკრაინის გარეშე საქმეთა კომისარის მოადგილემ და გამოსთქვა სიხარული იმის გამო, რომ გერმანიასა და უკრაინას შორის დამყარებულია მჭიდრო კეთილმეზობლური ურთიერთობა.

ახალი ამბები

— **სახალხო-განათლების სოციალურ აღზრდის მთავარ მმართველობაში.** სოციალურ აღზრდის მთავარ მმართველობის კოლლეგიის სხდომაზე ამხ. მ. ორახელაშვილისამ გააკეთა მოხსენება რესპუბლიკაში სწავლის მდგომარეობის შესახებ. ამ მოხსენების მიხედვით კოლლეგიამ დაადგინა: 1. ხშირი დათვალიერება სოციალურ აღზრდის მთავარ-მმართველობის წევრების მიერ პროვინციისა.

2. გაგზავნილ იქნეს პროვინციებში, სოციალურ აღზრდის მთავარ მმართველობის ინსტრუქტორები, საინსტრუქტოროთ და განათლების მუშაობის სწორ საფუძველზე დასაყენებლად.

რედაქციისაგან

ნოემბრის 19-ს სრულდება 12 წელიწადი, რაც პარიზში გარდაიცვალა ჩვენი პარტიის ერთი დამაარსებელთაგანი და თვალსაჩინო წევრი **გიორგი დეკანოზიშვილი** რედაქციას განზრახვა აქვს ამ დღისათვის გამოუშვას განსაკუთრებული ნომერი მისი ხსოვნის აღსანიშნავად, ამხანაგებსა და ნაცნობებს ვთხოვთ მოგვაწოდონ ცნობები და წერილები გიორგი დეკანოზიშვილის შესახებ.

პროვინციის ცხოვრება

თავდასხმა სასურსათო გადასახადის ტრანსპორტზედ. 11 ნოემბერს, დილის 9 საათზე, სოფელ ცხვარის-ჭალასა და ლელიანის ულელტეხილზედ სასურსათო გადასახადის ტრანსპორტს თიანეთის სამაზრო სასურსათო კომიტეტისას, თავს დაესხა ბანდიტები, რომლებმაც სროლა ატეხა. დაჭრილია ვ. გეგეჭკორი, სასურსათო კომისიის წევრი და ერთი ახალგაზრდა კომუნისტი. მილიციელების მიერ გამართული სროლით მოგერიებულ იქნა ბანდიტთა თავდასხმა და ტრანსპორტმა ტფილისს მიაღწია მშვიდობიანად. ვ. გეგეჭკორი მოთავსებულია მიხეილის სახელობის საავადმყოფოში.

ბათომი. ტფილისიდან ბათომის სასურსათო კომისარიატის მისამართით მიღებულია 3 ვაგონი ხორბალი და პროდუქტები სახელმწიფო მომარაგების ანგარიშით.

აჭარა. ხულოს რაიონში სასურსათო გადასახადი შეიცვალა და გადასახადი აკრებილ იქნება ფულით, რადგან სურსათის გადაზიდვა გზების სიცუდის გამო ძნელია.

აფხაზეთი, იუსტიციის კომისარიატის მოქმედების მთავარ ყურადღებას იპყრობს საბჭოთა სასამართლოს შექმნა, რის გამო შედგენილია 42 დეკრეტი და 3 ინსტრუქცია, და წარედგინა ცენტრალურ აღმასკომს დასამტკიცებლად.

რევოლიუციის ძეგლები. აფხაზეთის კომისართა საბჭოს პრეზიდიუმმა იქონია მსჯელობა აფხაზეთში რევოლიუციის ძეგლის დასადგმელად. გამოცხადებულია კონკურსი ძეგლის პროექტისათვის.

გადასახადები კოოპერატივებზედ. აღიძრა შუამდგომლობა აფხაზეთის კომისართა საბჭოს წინაშე, რომ კოოპერატივები განთავისუფლებული იქნენ გადასახადებისაგან, რადგან მათ მეტად მძიმედ აწევს გადასახადები და ხელს უშლის კოოპერატივების გაფართოვებას.

სამხატვრო ქრონიკა

— **სახელმწიფო ოპერა.** ოთხშაბათს, 15 ნოემბერს საღამოს ორი ოპერა „ჯამბაზები" და „ქეთო და კოტე". მონაწილეობენ: ბოკოვა, აგრანოვსკი, გორელოვი, კალანდაძე, კავსაძე, ისეცკი და სხ.

პარტიაში

ხუთშაბათს, 16 ნოემბერს საღამოს 8 საათ. პარტიის ცენტრალურ კლუბში დანიშნულია სტუდენტთა კავშირის სხდომა, წევრების დასწრება სავალდებულოა.

—

პარასკევს 17-ს ამ თვეს საღამოს 6 საათზე „ტრიბუნას" რედაქციაში დანიშნულია მთავარი კომიტეტის სხდომა. ყველა წევრის დასწრება სავალდებულოა.

ზოგი რამ

ა. საქართველო და პური.

ქართულ ჟურნალ-გაზეთობაში გავრცელებულია ერთი თვალთახედვა, თითქოს საქართველოს არ შეეძლოს ურუსეთოდ თავისი პურით იოლად წასვლა.

ასეთი დებულება არც უსაფუძვლო არის, არც საფუძვლიანი. საქართველოს რუსეთთან ურთიერთობა იწყება მეთექვსმეტე საუკუნიდან, მაგრამ ურთიერთობა იგი იყო უფრო სამოყვრო, პლატონიური, ვიდრე ეკონომიური, რაიც არ გასცილებია სამეფო გვარეულობის წევრთა მიერ რუსეთით ბეწვეულს, ხოლო საქართველოდან ფარჩეულს საჩუქრად მიღებულს. პოლიტიკური მფარველობა სულ ვერ მოხერხდა, თუმცა თერგის ხაზის დასაცველად მეთექვსმეტე საუკუნეში ლევან კახთ მეფეს ერთხელ ასიოდე ყაზახი გამოუგზავნა მოსკოვის მთავრობამ, მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისს კახთ მეფემ თეიმურაზ პირველმა ერთგულება შეჰფიცა პირველ რომანოვს მიხეილ თეოდორეს ძეს, ხოლო მეთვრამეტე საუკუნეში პეტრე დიდმა ოდესანდელ პეტროვსკამდე ძლივს მოაღწია, ასე რომ სპარსთა წინააღმდეგ მისი მოკავშირე ქართლის მეფე ვახტანგ მეექვსე კახ-ლეკებთაგან დამარცხებული რუსეთს გარბოდა. ასეთი იყო ურთიერთობა რუსეთ საქართველოსი 16—18 საუკუნეებში. მანამდე ურთიერთობა არავითარი ყოფილა, გიორგი რუსის სიძობის ჟამსაც კი, რადგანაც იგი ყივჩაყთ ურდოში სცხოვრობდა როგორც ექსორიაქმნილი და ქართველებმა იქ გაიცნეს. კარგია საქართველოს ეკონომიკის ისტორიის ვინმე მკვლევარი მოგვაწვდიდეს ცნობას, რომლის რამდენი პური მოსვლია საქართველოს რუსეთისაგან 1801 წლამდე.

სულ სხვასა ვხედავთ რუსთ ხელმწიფობის რეჟიმის დროს. ეს დრო ისეთია, რომ საქართველოში არა თუ ხვნა-თესვა, არამედ შინა მრეწველობაც კი შემცირდა, რადგანაც ბევრი რამ ცხოვრებისთვის საჭირო რუსეთის ცენტრიდგან იგზავნებოდა. მაგრამ ამ ეკონომიურ მფარველობას თან სდევდა პოლიტიკური ხასიათის მიზნები, რომ ჩვენს ქვეყანას, როგორც განაპირას საკუთარი მრეწველობით არა თუ გაესწრო ცენტრისთვის, არამედ მიბაძვაც არ შესძლებოდა.

მის გასაშუქებლად თუ, როგორი ჰქონია საქართველოს ეკონომიური კულტურა მეცხრამეტე საუკუნემდე, კმარა ნიკო მარის რუსული წიგნიც **საქართველოს კულტურის ისტორია**, რომელიც ეხება აგრეთვე საქართველოს ეკონომიურ კულტურას. ამასთანავე უნდა მივიღოთ ის დებულებაც, თუ როგორ იბრძოდა ძველი ქართველობა მოზღვავებულ მტრებს, რომელთა წინააღმდეგ ომებისთვის საჭირო იყო იმდენი ნივთიერი ენერგია.

დღეს როგორღა არის პურის საქმე? დღესაც ისე, როგორც მეცხრამეტე საუკუნეში საქართველო თავისი პურით იოლად ვერ მიდის და საზღვარ-გარეთიდან უცხოელი იმპორტით ვკმაყოფილდებით ჩვენს დანაკლისს. მაგრამ ასე მდგომარეობის გაგრძელება შეუძლებელია. საჭიროა ჩვენს სასოფლო მეურნეობას და პურის მოყვანის საქმეს დიდი ყურადღება მივაქციოთ. სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია არის ერთად ერთი სწორი გზა ჩვენი პურის დანაკლისის გამოსასწორებლად.

პეტრე მარიანაშვილი.

ჩვენი სკოლა

სუფთა წერის გაკვეთილები.

მეორე თუ მესამე სამოსწავლო წელი მიდის მას შემდეგ, რაც ჩვენ საშკოლო მეცადინეობის პრაქტიკაში უარყოფილია სუფთა წერის ცალკე გაკვეთილები.

ამ საკითხს ჩვენ აღარ დაუბრუნდებოდით, რომ ამის საჭიროებას კვლავ არ იწვევდეს თუნდაც ორი წლის დაკვირვება და გამოცდილება, რამაც ჩვენ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომლისაც განმეორებით გვსურს, სუფთა წერის გაკვეთილების ცალკე არსებობის საკითხი ხელახლა იქნეს გადასინჯული პედაგოგიურ წრეებში და მას შესახებ იქნეს სათანადო ნაბიჯი გადადგმული.

იმ დროს, როდესაც სწყდებოდა საკითხი სუფთა წერის ცალკე გაკვეთილების გაუქმების შესახებ, მხედველობაში ჰქონდათ ალბათ ის მოსაზრება, რომ ამ გაკვეთილების მიზანი დაეკისრებინათ ქართული ენის გაკვეთილებისათვის, რისთვისაც ყოველ მასწავლებელს ევალებოდა, ქართული ენის წერითი სავარჯიშოების დროს, ჯეროვანი ყურადღება მიექცია მოწაფეებისათვის, რომ ამ უკანასკნელთ ზედმიწევნით სუფთად შეესრულებინათ თავისი წერითი სამუშაო და ყოველი ასეთი გაკვეთილი, მოწაფის სტილის შემუშავებასთან და გამართულობასთან ერთად, მიზნად ისახავდა შეგირდებს შეესწავლათ ასოების სუფთად წერა, მათი გრაფიკული სისწორის დაცულად.

ერთის შეხედვით თითქოს მართლაც არაფერი დაშავდება, თუ სუფთა წერის გაკვეთილების მიზანს ქართული ენის წერითი სავარჯიშოების გაკვეთილებს დავაკისრებთ, მაგრამ ამ საკითხის ყოველმხრივი გათვალისწინება და შესწავლა აუცილებლად გვაძლევს საბუთს ვიფიქროთ, რომ იმ დროს, როდესაც ჩვენ ზემოთ აღნიშნული გარემოების მზგავსად ვიქცევით ე. ი. სუფთა წერის გაკვეთილებს ვსპობთ და წერითი სამუშაოების შესრულების დროს ვაქცევთ მოწაფის ყურადღებას სუფთა წერასაც, ამით ჩვენ ვერც პირველ მიზანს ვაღწევთ და მეორესაც დიდათ ვღალატობთ.

მოკლეთ რომ აღვნიშნოთ, სუფთა წერის გაკვეთილების დროს მოწაფის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მან შეისწავლოს ასოს სწორი მოხაზვა, ყურადღებით გაიგოს ასოს გრაფიკული ფორმის გენეტიური განვითარება, ასოთა გადაბმის წესი და ხერხი, როგორიც იცვლება ბეჭდური ასო წერის დროს, ასოთა ურთიერთი დამოკიდებულება სუფთად წერის დროს და საზოგადოთ ყველა იმ მიზნების მიღწევა, რასაც აძლევს საზოგადოთ სწორე წერა.

ამის გარდა ქართული ანბანის სუფთა წერის შესწავლის განსაკუთრებული თვისება იმაშიც მდგომარეობს, რომ ჩვენი ასოები, მცირედის გამონაკლისით იწერებიან სწორ ხაზზე ზევით ან ქვევით და ეს მოვლენა კი აუცილებლად გვეუბნება იმას, რომ მოწაფემ, რომელიც პირველად იწყებს ასოების წერას, ყურადღება უნდა მიაქციოს როგორც სუფთა წერას, ისე მასაც თუ სად, ხაზს ქვემოდ თუ ზემოდ, უნდა დაიწეროს ესა თუ ის ასო და როგორი უნდა იყოს მისი ფიგურალური სახე. ცალ ხაზს ქართული წერის დროს უდიდესი მნიშვნელობა აქვს პირველ დაწყებითი სწავლისათვის და ცხადია ამიტომ იყო მოკლებული რეალ საფუძველს ის აზრი, რომლის მიხედვითაც მოითხოვდნენ ცალხაზიანი რვეულის გაუქმებას და მის მაგიერად უხაზო რვეულების შემოღებას.

სახალხო განათლების კომისარიატთან (წინეთ სამინისტროსთან) არსებულ სასკოლო კომიტეტში აღნიშნულმა შეხედულებამ გაიმარჯვა პირველ ხანებში (1919—20) და ყველა ახლად გამოცემულ სახელმძღვანელოებში დაცული არის უხაზო ქაღალდზე წერის სისტემა.

მაგრამ მალე გამოცდილებამ დაგვარწმუნა აღნიშნული სისტემის ულოღიკობაში და ისევ შემოღებულ იქნა ცალხაზიანი რვეულები პირველ დაწყებითი წერის შესასწავლად.

მაგრამ რომ, ჩვენ პირდაპირ საგანს არ გადაუხვიოთ, უნდა უპასუხოთ კითხვაზე, ასრულებს თუ არა სუფთა წერის გაკვეთილების დანიშნულებას წერითი სავარჯიშოების გაკვეთილები?

ამ კითხვაზე რომ სწორი პასუხი მივცეთ, უპირველეს ყოვლისა უნდა ვიცოდეთ რა შეადგენს ქართული ენის წერითი სავარჯიშოების პირდაპირ მიზანს.

ასეთი გაკვეთილების ამოცანის მთავარ მოტივს შეადგენს წერილობითი გადმოცემა მოწაფის ნაფიქრისა და ნააზრევისა რომელიმე თემის ან საგნის შესახებ ან და რაიმე განყენებული სურათის აღწერა, რაც აზრის ფორმებში უნდა ჩამოაყალიბოს მოწაფემ და ამით მოახდინოს თავისი ცოდნის ექსპოზიცია განსაზღვრული საგნის ან თემის შესახებ. ეს რომ უფრო კონკრეტიულად წარმოვიდგინოთ, ავიღოთ შემდეგი მაგალითი: ქართული ენის გაკვეთილზე ჩვენ გვსურს მოწაფეებმა აგვიწერონ რომელიმე სურათი გაცნობილი მოთხრობიდან (ან სხვა ლიტერატურული ნაწარმოებიდან). აქ მოწაფე, მასწავლებლის გაფრთხილების შემდეგ, მთავარ ყურადღებას აქცევს განსაზღვრული სურათის ლოღიკურ ანალიზს და მის, რამდენადაც შეუძლია, მხატვრულ ემოციონალურ ფორმებში ჩამოსხმას. აქ მოწაფე გატაცებულია, და

ასეც უნდა აღვიდგინოთ, ავიჩინოთ სურათის სწორი და მთელი სახე, გვაგრძნობინოს თავისი ცოდნის დონე ამა თუ იმ მიცემული თემის ან საგნის მიმართ, რითაც მასწავლებელს უნდა მიეცეს საშუალება მიწოდოს ინტელექტუალური ასაკის გაცნობისა. ამ გაკვეთილებზე წერითი ნაწარმოების შინაარსის სიმდიდრისა და ესთეტიურობასთან ერთად, მოწაფის საზრუნავ საგანს შეადგენს სტილის დაცვა და შემუშავება.

გ. თავზარაშვილი.

(დასასრული იქნება.)

განათლების კომისარიატის დადგენილების გამო

ამ დღეებში გამოქვეყნებულ იქნა განათლების კომისარიატის დადგენილება № 88. ე. ი. წესი, რითაც უნდა იხელმძღვანელონ უნივერსიტეტის გამგეობამ და საშუალო სასწავლებლების პედაგოგიურმა საბჭომ — მოსწავლეთა სწავლის ფულისაგან განთავისუფლების დროს, უნდა აღვნიშნო, რომ ამ დადგენილებამ არსებითად შესცვალა წინა დადგენილების მესამე მუხლი, მე არ ვიცი რა მოტივებით ხელმძღვანელობდა განათლების კომისარიატი, როდესაც აშთაილებდა პირველი დადგენილების მესამე მუხლს! მაგრამ ის კი აშკარაა, რომ ბევრი ღარიბი სტუდენტი დარჩება სწავლის ფულისაგან გაუთავისუფლებელი და იძულებული გახდება თავი გაანებოს სწავლას. და აი რატომ: ამ დადგენილების თანახმად თავისუფლდებიან მხოლოდ სტიპენდიანტები, წითელ არმიელნი, მასწავლებელთა, ომში დასახიჩრებულთა და იმ ფიზიკურ მომუშავეთა შვილები, რომელნიც იღებენ ჯამაგირს არა უმეტეს 40 მან. ოქროთი. თავისუფლდებიან აგრეთვე, როგორც წითელ არმიელთა, ისე ყოფილ მასწავლებელთა შვილებიც, რომელთაც უმსახურიათ არა ნაკლებ თხუთმეტი წლისა. აი ეს კატეგორია ძლიერ უმნიშვნელო ნაწილს შეადგენს—კერძოდ ჩვენს სახელმწიფო უნივერსიტეტში და საზოგადოდ საშუალო სასწავლებლებშიაც, დანარჩენს ღარიბ სტუდენტობაზედ და მოსწავლეებზედ დადგენილება სდუმს და არაფერს ამბობს.. გავყვეთ ქვევით დადგენილებას. აქვე ნახსენებია:—გამგეობას და პედაგოგიურ საბჭოს თავის შეხედულებით შეუძლიათ განთავისუფლოს, მხოლოდ ეს რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს მთელი მოსწავლეთა შემადგენლობის ოცს პროცენტს. ამ შემთხვევაშიც რა მოტივებით იხელმძღვანელებს უნივერსიტეტის გამგეობა სწავლის ფულისაგან განთავისუფლების დროს, დადგენილება არაფერს ამბობს. მართალია ნახსენები არის სწავლის ხარისხი, მაგრამ ჩვენი უნივერსიტეტისთვის ამას ზოგადად ვერ გამოვიყენებთ.

არც ის შეუძლიან გამგეობას რომ გამოარკვიოს ამა თუ იმ სტუდენტის ნივთიერი მდგომარეობა, უნივერსიტეტში რამდენიმე ათასი სტუდენტი ითვლება და ყველა ამათი მდგომარეობის გამორკვევა მე მგონი უნივერსიტეტის გამგეობას არ შეუძლიან. და იგი ბევრს შეცდომებს დაუშვებს სტუდენტთა სწავლის ფულისაგან განთავისუფლების დროს. ისიც შესაძლებელია, რომ გამართოს ისევ ის „პროტექცია", რომელსაც—მგონი—ვებრძოდით და ეხლა ამ დადგენილებით ხელახლად ვაკანონებთ.

სულ სხვას გარემოებას ვხედავთ საშუალო სასწავლებელში: იქ მასწავლებელი კარგად იცნობს როგორც თვით მოწაფეს, ისე მის ოჯახურ მდგომარეობასაც და ეს გადაწყვეტს პედაგოგიური საბჭოს თავიდან აიცდენს ის შეცდომები, რომელიც — შესაძლებელია — დაუშვას უნივერსიტეტის გამგეობამ. ასე რომ ეს დადგენილება უნივერსიტეტისათვის არ შეიძლება ჩაითვალოს სავსებით მიზანშეწონილად და მისი ცხოვრებაში გატარება მოგვცემს არასასურველ შედეგებს...

უნდა აღვნიშნო, რომ შესაძლებელია ბევრისათვის ორი მილიონ ნახევარი მანეთის გადახდა არაფერს ნიშნავდეს, მაგრამ ღარიბი—ვგა ხელ-მოკლე სტუდენტისათვის, რომელიც არ მსახურობს არსად, ნახევარზედ მშიერია და არავითარი სახსრები წყარო არ გააჩნია, დიდი საქმეა და რომ დაგირავდეს კიდეც, მაინც ვერ შესძლებს ამის გადახდას.

ყოველ შემთხვევაში ამ განთავისუფლებულ ოც პროცენტში ძლიერ მცირე ნაწილი მოჰყვება ღარიბი სტუდენტობისა. უმრავლესობა კი დარჩება უნივერსიტეტის კედლებს გარეშე და იძულებული იქნება ეძიოს ბედი რომელიმე კანცელარიის მტვერიან დავთრებში—გაჩინოვნიკებაში.

მე მგონი რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა, ჩვენი ქვეყნის აღორძინებისკენა მომართული.—კერძოდ სწავლა-განათლების საქმეში ამის უტაქტოდ მომარჯვებამ შეიძლება დღევანდელი სტუდენტის ან პატარა მოსწავლის სახით, მოაკლოს ჩვენს ქვეყანას მომავალი შეგნებული და საზოგადოებისათვის საჭირო მოქალაქე, რომელთა სიმცირესაც მწვავედ განიცდის ჩვენი დღევანდელი საზოგადოებრივი ცხოვრება. უნდა ვიცოდეთ, რომ მარტოოდენ შრომის სკოლებით ვერ შევქმნით ქართველი ერის კულტურულ მომავალს... ჩვენთვის საჭიროა მეცნიერული ცოდნით აღჭურვილი მოქალაქე და თუ ამის საშუალებას არ მივცემთ ღარიბსა და ნივთიერად ხელმოკლე სტუდენტობას, ჩავიდენთ დიდ დანაშაულს.

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი

ანდრია მოსიაშვილი.

ქართველები სპარსეთში და მათი წარმომადგენელი სეიფოლა იოსელიანი

2.

სპარსეთში მყოფ ქართველებს, სახელდობრ ფერეიდანის მიდამოების 14 სოფლის მოსახლეობას და მათ მშვიდობიან ცხოვრებას და მუშაობას ხელს უშლის და ძლიერაც უშლის ზოგიერთ მეზობლებთან ცუდი განწყობილება. ქართულ სოფლებს ხშირად ესხმიან იქვე მახლობლად მყოფნი ბახტიარები, რომელთაც ისფაჰანის მიდამოებში დიდი გავლენა აქვთ და ძლიერ ძალასაც წარმოადგენენ. კარგად შეიარაღებულები, მდიდრები, მასთანვე მებრძოლნი და მომთაბარენი, რომელნიც ხშირად ადგილიდან ადგილზე გადადიან და რასაკვირველია ბრძოლებიც აქვთ იმ თემებთან, რომელთანაც სიახლოვით დაბანაკდებიან და თავს დაესხმიან.

ბახტიარები სპარსეთში მყოფ იმ ქურთების მოდგმა არიან, რომელთაც აგ ლანგებს ეძახიან და რომელნიც დარაზმულნი მთავრობის წინააღმდეგ მოქმედებენ და სპარსეთის მთავრობაზე უფრო ძლიერი ჯარი და გავლენა აქვთ. აღსანიშნავია ისიც, რომ ქურთების მეორე ნაწილს შეადგენენ ეგრეთ წოდებული ჩალანდები, ანუ სპარსეთის მთავრობის მოხარე ელემენტები.

ყოველივე ეს ჩვენი აზრით აიხსნება იმ მოძრაობით, შეიძლება ითქვას რევოლუციონური მოძრაობით, რომელიც ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში სავსებით გაძლიერდა როგორც ოსმალეთში, სახელდობრ ანატოლიაში, ისე რასაკვირველია სპარსეთშიც. მაგრამ აქ ჩვენთვის ღირსშესანიშნავია ის, რომ ამ მოძრაობის დროს, რომელსაც სრულიადაც არა აქვს გარკვეული და ჩამოყალიბებული ხასიათი, ილახება ზოგიერთ თემების ინტერესები, ამ შემთხვევაში იმ ქართველ მოსახლეობის, იმ მუშაკების, რომელნიც ისტორიულ წარსულის უკუღმართობის წყალობით მოექცნენ სპარსეთში და უმთავრესად მის სამხრეთ ნაწილში—ფერეიდანში, აღსანიშნავია ისიც, რომ შეწუხებას განიცდიან მხოლოდ ქართველნი და არა სხვა იმავე მიდამოებში მყოფი სომხები, თათრები, სპარსელები.

ეს აიხსნება იმით, რომ ზემოხსენებულ თემებს ჰყავთ თავიანთ მეთაურები, ხელის შემწყობნი, „ნასწავლი ხალხი". —როგორც გადმოგვცემს სეიფოლა.

„ჩვენც რომ ისე ვიყვეთ, როგორც მაგალითად სომხები, რომელთაც ჰყავთ ნასწავლი ხალხი, ლიდერები, ვექილები, რომელთაც მისვლა აქვთყე სპარსეთის მთავრობასთან და მის განკარგულებით, რასაკვირველია, უფრო ხელშეწყობილნი არიან სომხები. ჩვენში კი არა გვყავს არც ერთი ნასწავლი კაცი და ამისთვის გვჯაბნიანყე"—ამბობს სეიფოლა იოსელიანი.

ასე ყოფილა წინად, ასე არის ახლაც. საინტერესოა მაგალითად სეიფოლას მიერ გადმოცემული ამბავი ქერიმ შახის დროისა. ეს ყოფილა ას ორმოცდა ათი წლის წინად და მის შესახებ ხსოვნა დღემდის მწარე მოგონებათაა დარჩენილი ხალხში.

ქერიმ შაჰ წამოსულა ქართველ სოფლების გასანადგურებლად და მის მოსაზღვრე სოფლებიდან ქართველთ სოფლებიდან ქალი და ბავშვი სულ მთაში გასულა, ვაჟკაცნი კი შებრძოლებიან ქერიმ შაჰის ჯარებს, მაგრამ დამარცხებულან და მთის მწვერვალზე მყოფი ქალი და ბავშვი სულ ერთიანად ათასობით კლდეებზე გადაჩეხილან. „ის მთა ახლაც მწარე ცრემლებს იწვევს ჩვენ საქართველოჩი".

ახლა კი ფერეიდნელ ქართველებს შეჯახება და თითქმის ბრძოლებიც უხდებათ ბახტიარებთან, უმთავრესად ზაფხულობით, როდესაც ხალხს საქონელი მთაში ჰყავს გაყვანილი. გადმა მთის ფერდობებზე დაბანაკებული არიან ხოლმე ბახტიარები, გამოღმა კი არის ზოგიერთი სოფლები ქართველების; მაგალითად ჯაყჯაყი, სიბაქი და ჩუყურეთი და უმთავრესად ამ სოფლებს უხდებათ მათთან შეჯახება. მიუხედავად იმისა, რომ ბახტიარები ძლიერ შეიარაღებული არიან, მასთანვე ცხენოსნები, მაგრამ არც ქართველები ნებდებიან ისე ადვილად.

„ჩვენი ძველი ქართული სული და სიმამაცე კიდევ შეგვრჩენია—ამბობს სეიფოლა იოსელიანი—ის ადვილად არ ვნებდებით, მაგრამ სახლებს გვიწვავენ და ფულსაც ბევრს გვახდევინებენ." თუ რამე თუ ვინმე ჩაიგდეს ტყვეთ, მოითხოვენ მის გამოსაყიდ დიდძალ თანხას და თუ კი ეს თანხა ვერ გადაიხადეს, აწამებენ ტყვეს. ძველებური საწამებელი იარაღები დღემდის არის იქ შერჩენილი. წინა ზაფხულში ერთი ხანობაზე ბრძოლის დროს ქართველებს ჩაუგდიათ ბახტიარების ტყვეები და ცხენები, მაგრამ შემდეგში ისევ დაუბრუნებიათ. არ უნდათ მათთან დამოკიდებულების გამწვავება.

ბახტიარები, რომელნიც მომთაბარულად ცხოვრობენ, ერთ ადგილიდან მეორე ადგილას გადადიან, ცხოვრობენ საძოვრებში ბანაკებად თავისისვე საქონლით მათ ჰყავთ თავიანთი უფროსები (თავადები), რომელნიც შუაბადგმული ცხენებზე ასიოდე კაცი მოდადგება ხოლმე რომელიმე სოფელს და ძალათი კრეფს ხარკს. ეს არის რასაკვირველია უმთავრესი, რაც ძლიერ შეწუხებაზე აგდებს იქაურ ქართველ მშრომელთ და საერთოდ მთელ მოსახლეობას.

„ჩვენ რომ ვინმე გვყავდესყე ერთი კაცი, რომელიც ჩვენი თავმჯდომარე იქნება, ის მოაგვარებს ყოველივე საქმეს".

აღსანიშნავია ის, რომ ქართველები უკვე აძლევენ სპარსეთის ჯარში თანახმად მთავრობის განკარგულებისა ამ წლიდან ახალგაზრდობას, მაგრამ ეს ჯარში მყოფი მათი შვილები სულ სხვა დანიშნულებით ჰყავს სპარსეთის მთავრობას, სადაც შეადგენენ ეგრეთ წოდებულ სპარსეთის ყაზახებს, რომელნიც ტყვიის მფრქვეველებზე მუშაობენ.

თითო ასეთ ახალგაზრდას სოფელი ვალდებულია მისცეს ასი თუმანი (სპარსულ ოქროთი) ჯარში გამოსაწყობად. და მიუხედავად ამისა, მაინც ქართველთ სოფლებს არა აქვთ არავითარი დახმარება. მთავარი მიზეზი არის ის, რომ მათ იქ არა ჰყავთ ისეთი ვინმე, რომელიც გამოესარჩლება მათ და ხმას აღიმაღლებს მათ სასარგებლოდ. ასეთი კაცის გაგზავნა კი საჭიროა საქართველოდან წარმომადგენლის თუ ელჩის სახით. ერთი სიტყვით უნდა იქ აუცილებლად გაიგზავნოს ვინმე და ამას კი შესძლებს და უნდა შესძლოს საქართველოს მთავრობამ.

ხოსო ახლანიშვილი.

შავი-ქვის მრეწველობის კრიზისის გამო

ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს და „ჩემო"-ს თავმჯდომარემ ისიდორე ვარაზიშვილმა ჭიათურის კატასტროფის გამო ჩვენს თანამშრომელს განუცხადა შემდეგი: „საგანგებო კომისია, რომელიც წასული იყო ჭიათურაში ზარალის გამოსაკვლევად და მრეწველობის აღდგენისათვის ზომების მისაღებად, მეტად უნუგეშო ცნობებს გვაწვდის, ათი მილიონი ფუთის გარდა მთელი დამზადებული შავი-ქვის მასალა დაილუპა, დაინგრა ხიდები, დაზარალდა ქარხნები და სხვა. ამას კიდევ მოემატა ახალი უბედურობა. 24 ვერსზედ ჩამოწვა ზვავი ზომით 15,000 კუბიკური საჟენი. ამ ზვავის ლიკვიდაციას სპეციალისტების აზრით დასჭირდება თვეები და ამ ხნის განმავლობაში ჭიათურიდან ყოვლად შეუძლებელია რაიმე საქონლის გაზიდვა. ამ რიგად ჭიათურა თითქმის მოწყვეტილია ცენტრს. ეხლა ამ ცნობებიდან სჩანს, რომ ჭიათურის მრეწველობისათვის საჭიროა სრულიად განსაკუთრებული ზომები, როგორც ფიზიკური, ისე მატერიალური. ცხადია, თვითონ მრეწველნი მთელის ძალღონით, უკეთეს შემთხვევაში შესძლებენ მხოლოდ რამოდენიმე, თან და თანობით მოაწესრიგონ საკუთარი სამრეწველოები. მხოლოდ რაც შეეხება რკინის გზის აღდგენას და კიდევ სამრეწველო გზების და ხიდების გაკეთებას, ამისათვის აუცილებელი საჭირო იქნება მთავრობის სწრაფი დახმარება.

თავის-თავად ცხადია, რომ თუ მრეწველთა საბჭოს, რომლის მოვალეობა შეადგენს სამრეწველო გზების და საერთო მოწყობილობათა პატრონობა, ეხლავე არ მიეცა მთავრობისაგან საგრძნობი თანხა გრძელ ვადიანი სესხის სახით, ისე საბჭო ვერ შესძლებს გზების აღდგენას და მაშასადამე შეუძლებელი იქნება ახალ საქონლის მოტანა რკინის გზის ფარდულებზე.

რაც შეეხება მრეწველებს, იმათთვისაც შეუძლებელი იქნება ოდნავ მაინც გაუძღვნენ თავის მუშაობას სამრეწველოს აღდგენის და ახალი საქონლის დამზადების საქმეში, თუ მათ ვერ შესძლეს ჩვეულებრივად ისარგებლონ იმ ნდობით და კრედიტით, რაც მათ აქვთ ხელში და საზღვარ-გარეთ.

დღევანდელ პირობებში კი, როდესაც შავი ქვის მრეწველნი მოკლებულნი არიან ყოველგვარ საშუალებას თავისუფლად მოიხმარონ საკუთარი თანხები და ისარგებლონ კრედიტით არსებულ დეკრეტების ძალით, რომელთა ძალითაც მათ აკრძალული აქვთ თავისუფლად გასცენ ჩეკები, ტრატტები და ბრძანებანი საზღვარ გარეთ, რა თქმა უნდა ისინი ვერ შესძლებენ რაიმე თვალსაჩინო კვალი დააჩინონ ამ მუშაობას.

ამისათვის აუცილებლად საჭიროა ეხლავე მიეცეს ნება, როგორც „ჩემოს" ისე მის წევრებს, ფირმებს თავისუფლად აწარმოონ თავისი საფინანსო ოპერაციები და ნება დართულ იქმნეს „ჩემოს" და მრეწველთა ფირმების მიერ გაცემული ჩეკების, ტრატების და ბრძანებების გატანისა საზღვარ-გარეთ. ეს მით უფრო საჭიროა, რომ არც ერთ დაწესებულებას, არც სახელმწიფოს და არც საზოგადოებას ამ ჟამად არ შეუძლია მისცეს მრეწველთ საჭირო ფული ამ მუშაობისათვის და, მაშასადამე, სესხის შოვნა და მისი კრედიტის მობილიზაცია უნდა მოხდეს საზღვარ გარეთ, საიდაც თავისთავად მოხდება ცხადია ამ ვალის გადახდა შესაფერი გარანტიების ქვეშ.

ჩემის ღრმა რწმენით, თუ ეს ზომები დაუყოვნებლივ ცხოვრებაში გატარდა, არ იქნება შეუძლებელი შავი-ქვის მრეწველობის აღდგენა.

ქართ იმერი.

თეატრი და ხელოვნება

სახელმწიფო საოპერო თეატრი „ჯამბაზები"

ჩვენს საოპერო სცენაზე განახლებულ ლეონკავალის ამ ოპერას წინ უძღოდა დიდი ანონსი სრულიად ახალი დადგმით რეჟისორ ბოგოლიუბოვის მიერ, ადრევე ვიცნობდი ბოგოლიუბოვის მხატვრულ გემოვნებას მისი მუშაობ თ პეტერბურგის მარინის თეატრში და იმ დადგმებით, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენს საოპერო სცენაზე, მე დიდი ინტერესით წაველი ოპერა „ჯამბაზების" სანახავად. უნდა გამოვტყდე, რომ ბოგოლიუბოვის დადგმამ ვერ დამაკმაყოფილა. ოპერის დადგმა, მართალია, დიდებული იყო, მაგრამ მოქ. ბოგოლიუბოვმა შესცვალა ძირითადი აზრი და დრამის განვითარება, რომელიც სიუჟეტია ლეონკავალოს ოპერისათვის და მაშასადამე, თვით კომპოზიტორისათვის. ლეონკავალომ თავის ნაწარმოებს დაარქვა არა ოპერა, არამედ მუსიკალური დრამა, პირველ პლანზე დააყენა რეალიზმი, ცხოვრების ბუნებრივი დრამის განვითარება გადაიტანა სცენაზე. იდეათ ის არის, რომ მსახიობი განიცდის პირად სულიერ დრამას,—რჩება ადამიანად რომელიც იტანჯება, მაგრამ სცენაზე გამოსვლისას ივიწყებს ყოველივეს და... იცინის მაშინ, როცა ტირილი სურს. ამ იდეაზე ამბობს შესავალში ერთ-ერთი მომქმედნი პირი—თადეო (სცენით—ტონიო) ბოგოლიუბოვმა სხვაგვარად დასდგა ეს შესავალი, მაგრამ აზრი არ შეუცვლია. შემდეგ იწყება დრამა, როგორც ყოველივე დრამატიული ნაწარმოები, სადაც სცენაზეა მომქმედნი პირნი (მსახიობი, ხორო, ორკესტრი), ხოლო მეორე მხრივ—აუდიტორია და დრამის განვითარება მიმდინარეობს ბუნებრივად და ყველასათვის გასაგებათ.

მოქმედება სწარმოებს იტალიის სოფელში, გლეხები ბრუნდებიან მუშაობიდან და შეხვდებიან მოხეტიალე დასს. დასის უფროსია კანიო (სცენით კი ჯამბაზი), მისი ცოლი—ნედდა და სხვა მომქმედნი პირნი. მსახიობები, არლეკინები და ტონიო. შემთხვევით ისინი მიდიან იმ სოფელში, საიდანაც ნედდა არის რომელიც გაგიჟებით უყვარს მის ქმარს კანიოს.

ნედდა უყვარს მსახიობ ტონიოს,—ადამიანს ეშმაკს და შურისმაძიებელს, თვით ნედდას კი—გლეხი სილვიო, ტონიოს სიყვარულის ახსნას ზიზღით იგერიებს ნედდა, [illegible] ნის შემთხვევით გაიგებს ნედდას და სილვიოს პაემანს და აცნობებს ნედდას ქმარს—კანიოს, სილვიო იმალება, ეჭვით სავსე კანიო ითხოვს ნედდასაგან მისი საყვარლის სახელის თქმას. ის უარს ამბობს. ეს არის დრამის კვანძი. მეორე აქტი სწარმოებს მოძრავი თეატრის სცენაზე, სადაც პანტომიმით ასახულია შინაარსი, რომელიც უდრის ცხოვრებაში სინამდვილესთან მომხდარს. კანიო—ჯამბაზმა უნდა ითამაშოს: ის მსახიობია, უნდა დაივიწყოს თავისი საკუთარი დრამა და რამდენადაც მსახიობი, იჭვიანი, შეურაცყოფილი ადამიანის როლის შემსრულებელი გადაიტანს დრამას როგორც **ადამიანისას**, დრამაში სცენაზე როგორც **ჯამბაზის**, იმდენად შთაბეჭდილება და მთელი მუსიკა ასახავს ცხოვრებისა და სცენიურ განცდას. ბოლოს, კანიო ვერ ეგუება თავის ჯამბაზის როლს, მას არ შეუძლია იცინოს, როცა არ ეცინება: ის მთლად შეპყრობილია თავისი დრამით და ჰკლავს თავის ცოლს ნედდას და აუდიტორიიდან ნედდას დასაცავად სცენაზედ ასულს სილვიოს.

აქ ორი მხარეა: 1) ცხოვრება და 2) სცენა. ამაშია მთელი აზრი. ბოგოლიუბოვის მიხედვით კი ყველაფერი სცენაზე სწარმოებს, რაც არ არის სწორი, თუმცა ლამაზია, სცენაზე ყოველთვის ბალეტია, „ჯამბაზები" უნდა დაიდგას რეალურად. აუცილებელია აღინიშნოს ზოგიერთი მომენტები: 1) მაყურებლებად, როგორც ცხოვრების, ისე წარმომდგენი დრამის არიან გლეხები,—რომელნიც ორივე დრამას განიცდიან გულწრფელად. დასაწყისში ვერც არჩევენ, რომ წარმოდგენა შეწყდა, რადგან კანიო უკვე ჯამბაზი კი არ არის, არამედ დატანჯული ადამიანი და ამას მხოლოდ მაშინ იგებენ, როცა კანიო ნამდვილად კლავს თავის ცოლს. 2) ზარის რეკა,—რომელიც გლეხებს დასასვენებლად და სალოცავად იწვევს ძველ დადგმის დროს გასაგები იყო, ახლა კი გაუგებარია, რადგან ზარებს სცემენ სცენაზე თვით არლეკინები.—ამით რისი გამოხატვა სურს არ ვიცი. 3) მოწყენილ ნედას მიმართვა თავისუფალ ფრინველებისადმი აგრეთვე გასაგები იყო ძველად, რადგან მოქმედება სწარმოებს ჰაერზე, ახლა კი—თეატრში და საიდან გაჩნდნენ ჩიტები—გაუგებარია. 4) სილვიოს გამოჩენაც უწინ გასაგები იყო. ეხლა კი შეყვარებულ ყმაწვილის მაგიერ ჩნდება ვიღაც ვატოს სტილში.

ასეთი დადგმა ლამაზია შესახედავად, მაგრამ ჰკუასა და გულს არაფერს ეუბნება. რაც შეეხება თვით შემსრულებლებს, ყველა თავის დანიშნულების სიმაღლეზე იდგენ იმდენად, რამდენადაც არ იყვნენ შეზღუდულნი სარეჟისორო ხაზის მიერ.

დიდებულად შეასრულა შესავალი მოქ. გორელოვმა,—ჩემი ფიქრით ის ყველაზედ უკეთესი ტონიოა ტფილისის სცენაზე გამოსულებისა. რა თქმა უნდა კარგი იყო მოქ. ბოკოვა ნედას პარტიაში. მოქ. აგრახოვსკიმ (კანიო-ჯამბაზი) დიდი ტემპერამენტით შეასრულა პარტია. ცნობილი არიოზო „იცინე ჯამბაზო" მომღერალმა დიდი გრძნობით იმღერა. მოქ. კრივანოვსკიმ სილვიოს პარტია მოხერხებით იმღერა. არ დამაკმაყოფილა მოქ. კურბატოვმა (არლეკინი). არლეკინის ლამაზი არიოზო ითხოვს მეტ დასრულებულ შესრულებას.

მეტად კარგად ნიუანსებით აძლევს აკომპანიმენტს ორკესტრი ივ. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით.

პ. ბებუთოვი.

კონცერტ-მიტინგი სასამართლოს შენობაში

სახელმწიფო დაწესებულების მოსამსახურეთა სულისკვეთება ყოველთვის იყო მიმართული იმ მხარეზე, რომ მას სარგო მიეღო დაწესებულებიდან, სადაც ის მსახურობდა. დაწესებულება და მისი თანამოსამსახურენი იყო მხოლოდ სამსახურის ნაცნობები და დაწესებულების გარეთ მისთვის ისინი უცხონი იყო. დაწესებულებაში მოსამსახურეთა ზრდის კულტურულ მუშაობაზე ხომ არავის ფიქრობდა. ეს მდგომარეობა ახასიათებდა ჩვენს მოსამსახურეთ ყოველთვის, თუმცა მათ ცხოვრებაში გაჩნდა პროფესიონალური კავშირები, რომელთაც უნდა და-

ფუენებინა მოსამსახურენი ახალ გზაზე. ეს მდგომარეობა შეიცვალა სავსებით საქართველოში საბჭოთა წესწყობილების დამყარების შემდეგ, კულტურული განმანათლებელ მუშაობას მოსამსახურეთა შორის მიენიჭა მთავარი ყურადღება და მთავრობა ამ საჭიროებისათვის არ შურავს არავითარ სახსარს. პირველ ხანებში ეს მუშაობა მოსამსახურეთათვის უცხო იყო, ისინი გაიძახოდნენ, რათ გვინდა ჩვენ კულტურული განვითარება პროფესიონალურ კავშირებით დაწესებულებებში, როდესაც ჩვენთვის ყოველთვის ღიაა სამკითხველოები და თეატრებიო, სადაც შეგვიძლია განვითარებაც და მხიარულებაცო. ასეთი შეხედულების იყო ჩვენი მოსამსახურეთა ნაწილი, რომელსაც მართალაც შეეძლო თავისი ცხოვრების ამ გზით გაგრძელება, მაგრამ იმათთვის სულ ერთი იყო როგორი მდგომარეობაში იქნებოდა ახალი თაობა. ეს შეხედულება თანდათან ისპობა იმათ შორის, ვინაიდან ახალი სოციალისტური განვითარება მშრომელი ხალხისა ძალიან განსხვავდება ძველ მეშჩანური განვითარებისაგან. ამის დამამტკიცებელია კონცერტი-მიტინგი ოქტომბრის რევოლიუციის ხუთი წლის თავის აღსანიშნავად გამართული ფინსახკომის სახბანკის და იუსტიციის კომისარიატის კულტგანმანათლებელ კომისიების მიერ, ამათთვის 9 ნოემბერს.

ბი აქ უკვე ჯვარი დაესვა ყოველ ძველ შეხედულებას. ის დარბაზი, სადაც წინად არა ერთი მშრომელისათვის გამოუტანიათ სიკვდილით დასჯის განაჩენი დღეს მუშა მოსამსახურეთ გადუქცევიათ თავის კულტურულ განვითარების ბინათ და მოურთავს კოხტათ რევოლიუციონური დროშებით და ჩვენი მესვეურთა სურათებით. მუშა მოსამსახურენით, რომელთა სახეები ბრწყინავდა სიხარულისგან დარბაზი გავსილი იყო. ყველა იმაზე ფიქრობდა, როგორ შთაბეჭდილებას დატოვებდა ეს პირველი საღამო ჩვენს ცხოვრებაში გამართული მოსამსახურეთა მიერ, ხალხს ეტყობოდა თავიდანვე რომ კმაყოფილი იყო ამ საღამოთი. მიტინგი გახსნა ამხ. გიორგი ელისაბედაშვილის სიტყვით ოქტომბრის რევოლიუციის მნიშვნელობის შესახებ. მისი მოხსენება ძალიან მგრძნობიარე იყო, ხალხი მის სიტყვას ტაშისცემით აწყვეტინებდა რეზოლიუცია, რომელიც წამოყენებული იყო თითქმის ერთხმად იქნა მიღებული, მოხსენების შემდეგ გაიმართა კონცერტი, რომელშიაც მიიღეს მონაწილეობა ტფილისის საუკეთესო ძალებმა ოპერისა და დრამის. საღამოზე უკრავდა ორკესტრი მუშა-მოსამსახურენი დილის აღტაცებით და ტაშისცემით დაიშალნენ. ეს პირველი გამოსვლა ბრწყინვალედ იქნა შესრულებული, მასა უკვე დაინტერესდა ამ მუშაობაზე და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ასეთი საღამოები გაიმართება მრავლად. მადლობის ღირსია ზემოთ მოყვანილ დაწესებულებათა კულტურულ კომისიების წევრები, რომელთაც მიიღეს აქტიური მონაწილეობა ამ საღამოს მოწყობაში და აგრეთვე მადლობის ღირსია დაწესებულებათა ადმინისტრაცია საღამოსათვის სადარის აღმოჩენისათვის.

ნ. გ—ძე

ნაძალადევის მუშათა კლუბში სეზონის გახსნა.

ა. წ. 12 ნოემბერს ნაძალადევის მუშათა კლუბში სეზონი გაიხსნა გედევანიშვილის „მეხვეურებით". ქართველი საზოგადოებისათვის, როგორც მუშათა უბნებში, აგრეთვე ცენტრში, ეს პიესა ცნობილია, მასზედ ბევრი რამ დაიწერა, კრიტიკის ქარცეცხლშია გატარებული, ასე, რომ აქ პიესის ვარგისობის თუ არ ვარგისობის შესახებ არ ვილაპარაკებ, თუმცა მეორე მოქმედება, ისეც ისე გაჭიანურებული, როგორც ამ თვის 12-ს გვაჩვენეს, ზედმეტად მიმაჩნია.

დავიწყოთ აფიშიდან: ვეებერთელა აფიშა ლამაზად და ოსტატურად შედგენილი გვაუწყებს, რომ ამ სეზონში წავა ეს და ეს პიესები, მონაწილეობას ღებულობენ ეს და ეს პირები და სეზონი გაიხსნება „მეხვეურებით", ახალი დეკორაციით და მთელი დასის მონაწილეობით. ვინაიდან ეს სეზონის დასაწყისია—პირველი ნაბიჯი, არ მინდა სასტიკი მსაჯული ვიყო, რომ გული გაუტეხო ახალგაზრდა მოღვაწეებს, არც ის მინდა დავფარო ზოგიერთი მთავარი დეფექტები, რომ შემდეგში განმეორდეს და მეორე ნაბიჯი სწორი და შეხამებულ-შეწყობილი არ იყოს.

წარმოდგენის დაწყებამდე მოკლე და შინაარსიანი დეკლამაციებით „მსახიობ" რეჟისორმა ვ. ფრანგიშვილმა გადასცა დამსწრე საზოგადოებას, რომ დასის სურვილის ამ სეზონში სცენაზედ მოთამაშეთა და აუდიტორიაში მაყურებელთა შორის გაიბას ძაფი შემაერთიანებელი, რისთვისაც საჭიროა მსახიობების მიერ პიესების განსახიერება, მისი უნაკლოდ გადაცემა და მაყურებლების მიერ გაკრიტიკება, შეთვისება-შესისხლხორცება და უმთავრესად წესიერების დაცვა, დაკვირვება და ჩუმად მოსმენა. ეს თუ ასე არ იქნა, ჩვენ შორის ძაფი შემაერთებელი გაწყვეტილი იქნება და ჩვენი მუშაობაც დაქსაქსული და უნაყოფო (რეჟისორს მღელვარება ეტყობოდა).

საღამოს 9 საათზედ აიხადა ფარდა. სცენის მორთულ-მოკაზმულობას—დეკორაციას, მხატვრული მხრივ ეტყობოდა დაკვირვებული და გამოცდილი რეჟისორის ხელი. ყოველივე შეწონილ-შეზომილი თავის ადგილას იყო, მხოლოდ სინათლეს ჰქონდა დეფექტები. ისე უცებ გათენდა, რომ რიჟრაჟის მოციქულებს შუა-დღეს მოუხდა თავიანთი მისიის ასრულება, რაც დანიშნულებას და ეფექტს უკარგავდა ბუნებრივ სანახაობას. ურმული სჩანს ნოტებზედ იმღერა ფრანგიშვილმა, ის ბუნებრივი სოფლური არ იყო. სურათი ფერმკრთალი იყო.

ახალგაზრდა ზოგიერთ სცენის მოყვარეთ უნდა ახსოვდეს, რომ სცენაზედ თავის დაჭერა უნდა—დაკვირვება, თუ რას ამბობს და რას განიცდის. საქო, რომელსაც შიგ დუქანში იყო და არ სჩანდა, გამვლელი გლეხები გაიძახოდა „გამარჯობა საქო"! ეს სიცილს იწვევდა საზოგადოებაში. საქოს როლს ასრულებდა პავლიაშვილი; მას ვერ ვაპატიებთ ახალგაზრდებისავით, ის ძველი გამოცდილი მუყაითი მსახიობია. დღეს კი იყო, ცივი ილუზია, თუ სხვა დროს საქოს როლში მისი ყოველივე სიტყვა იყო მოსწრებული, გამაცოცხლებელი დაკვირვებული, არ ვიცით რას მივაწეროთ. ეტყობოდა თითონ რაღაცაზედ გაჯავრებული და უკმაყოფილო იყო. პიესის გმირი ვანო არ სჩანდა, ის იყო მკრთალი, უსიტყვო, უმიმიკო; ჩვენ ვხედავდით მხოლოდ მის წარბების მაღლა და დაბლა ქიმვას. ახალგაზრდა ენერგიით სავსე გ ოლავახაგან ამ როლში ჩვენ მეტს მოველოდით და სრული იმედია, შემდეგში გაასწორებს ამ შეცდომას, მაგიერში გიგოს როლში კუდუხაშვილი და გაბუს როლში ბ. ლითანიშვილი პიესის ნამდვილი გმირები იყვნენ.

კუდუხაშვილი ეს ნაძალადევის სცენის მოყვარეთა საუკეთესო თვალია, ის რომ სცენაზედ გამოდის თამაშობს და სცხოვრობს, როგორც დიდი ხნის გამოცდილი დახელოვნებული მსახიობი. გიგოს როლი ისე კარგად შეასრულა, რომ თვით პიესის ავტორსაც მოეწონებოდა. ამ როლში უნდა მდაბიობა—უბრალობა ზოგადათ მოინტელიგენტებდა.

ბ. ლითანიშვილს ასეთ როლებში ჩვენ პირველად ვხედავთ, დაგვრჩენია მხოლოდ ერთი—მივულოცოთ სრული გამარჯვება, საუკეთესო გაბუა იყო, დაკვირვებული, დარბაისელი სოფლელების შეილადი და გულშემატკივარი.

კარგები იყვნენ: სიმონა—დემეტრაშვილი—ნატუა ლორთქიფანიძე—დედა ვანუასი—ეპიტაშვილი, დანარჩენები ანსამბლს ხელს უწყობდა. საერთოდ პიესამ კარგად ჩაიარა.

დაგვრჩენია მივულოცოთ ნაძალადევის მუშათა კლუბს ქართულ სეზონის გახსნა, ვუსურვოთ სცენის მოყვარეთა წრეს ფეხს გამოლება, უნარი, სოლიდარობა ერთმანეთში და საზოგადოებას დაკვირვებით მოსმენა, წესიერების დაცვა, რომ მართალაც შემაერთებელი ძაფი გაიბას სცენისა და აუდიტორიის შორის და ქართულ მუშათა სცენაზედ—კერაში გაღვივდეს ცეცხლი, რომ მან გაახუროს გაციებული კერა და გაათბოს ქართველის გული.

ჟან.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 19.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა. პროკურატურის შემოღების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დამტკიცებული იქნეს ამასთანავე დართული დებულება პროკურატურის შესახებ*).

2. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო სასამართლოს 1921 წლ. ივნისის 30-ს დამტკიცებული დებულების მე-48, 53, 57, 58, 61, 62 და 63 მუხლების შესაცვლელად, დებულების ხსენებული მუხლები შეიცვალოს შემდეგნაირად:

მუხ. 48. წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის ისეთი საქმისა, რომელიც უნდა გარჩეულ იქნეს სახალხო მოსამართლის მიერ 6 სახალხო მსაჯულის მონაწილეობით, დაევალება სახალხო გამომძიებელს. სისხლის სამართლის სხვა საქმის გამო სახალხო სასამართლოზეა დამოკიდებული—დასჯერდეს საქმის ნაწარმოებ მოკვლევას (კვლევა-ძიებას), თუ გადასცეს საქმე სახალხო გამომძიებელ წინასწარი გამოძიებისათვის.

მუხ. 53. სახალხო გამომძიებელი წინასწარ გამოძიებას უნდა შეუდგეს: 1) მოქალაქის განცხადებით, 2) მილიციისა, თანამდებობის პირის და დაწესებულების ცნობით, 3) პროკურორის ან მისი თანაშემწის წინადადებით, 4) სასამართლოს დადგენილებით და 5) თავის თაოსნობით.

მუხ. 57. გამომძიებლის დადგენილება სამართალში მიცემისა ან საქმის მოსპობის შესახებ უნდა დასაბუთებული იყოს. დასკვნითი დადგენილება სამართალში მიცემის შესახებ მთელ საქმესთან ერთად გამომძიებელმა უნდა გაუგზავნოს სასათანადო პროკურორს ან მის თანაშემწეს.

მუხ. 58. თავისი დადგენილება საქმის მოსპობის შესახებ მთელ საქმესთან ერთად გამომძიებელმა უნდა გაუგზავნოს სათანადო სახალხო სასამართლოს და ამასთანავე აცნობოს პროკურორს.

მუხ. 61. სასამართლოში ბრალმდებლობის გაწევა ევალება პროკურატურას, რომლის ორგანიზაციაც გათვალისწინებულია პროკურატურის დებულებაში.

მუხ. 62. საპროკურორო ზედამხედველობის [illegible] მონაწილეობას [illegible] სამსჯავრო (სასამართლო) სხდომაზე თავისი თაოსნობით ან სასამართლოს დადგენილებით.

მუხ. 63. უკეთუ საპროკურორო ზედამხედველობა საჭიროდ სცნობს საქვეყნო ინტერესის დასაცავად ჩაერიოს ისეთ საქმეში, რომლის აღძვრა შეიძლება მხოლოდ დაზარალებულის საჩივრით, ბრალმდებლობის გაწევა ამ შემთხვევაში შეუძლიან მხოლოდ პროკურატურას, და საქმე ვერ მოისპობა დაზარალებულის ბრალდებულთან შერიგებით.

3. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა უნდა მიიღოს ზომები, რათა პროკურატურა შემოღებული იქნეს აფხაზეთის რესპუბლიკაში.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის 1922 წლ. ნოემბრის 15-დან.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **თ. კალანდაძე.**

1922 წლ. ნოემბრის „11".

ტფილისი—სასახლე.

---

*) დებულება შემდეგს ნომერში დაიბეჭდება.

რედ.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი

ს. ს. ს. რ.

სახალხო ბანკის

სავაჭრო

განყოფილება

ამით აცხადებს რომ მის საწყობებში იმყოფება ზითუმათ გასაყიდათ შემდეგის საქონელი:

შაქარი გოლანდიის რაფინადი (სამი ტომარი)

„ ფხვნილი

ჭურჭლეულობა (ემალის, თუჯის, ფარფორის)

რკინეულობა, სპილენძი, თოკი, საღებავი,

სამდივნო ნივთები

საელექტრონო და ტეხნიკური საგნები

თუჯის ღუმელები და სასურსათო საგნები.

მსურველთ შეუძლიან მობრძანდნენ სახალხო ბანკის შენობის სავაჭრო განყოფილებაში მოსალაპარაკებლად დილის 9 ს. 3 საათამდე.

№ 145 3—1

ს. ს. ს. რ. მიწად-მოქმედების

სახალხო

კომისარიატი

ამით აცხადებს, რომ მის მიერ 19 ნოემბერს დილის 10 საათზე სოფელ გურჯაანში მოწვეულია

კახეთის მევენახეთა

ყრილობა

შემდეგის წესით და პროგრამით:

1. ყრილობას შეადგენენ: 1) თითო წარმომადგენელი სოფლის აღმასკომებისა, 2) ორ-ორი წარმომადგენელი ყოველივე სოფლიდან, სადაც მისდევენ მევენახეობას, 3) თითო წარმომადგენელი სოფლის კოოპერატიულ დაწესებულებებიდან, 4) მმართველი ორგანოები არსებულ მევენახეთა კოოპერატიულ კავშირებისაგან, 5) თითო წარმომადგენელი სამაზრო აღმასკომისა, 6) თითო წარმომადგენელი სამაზრო საადგილ-მამულო განყოფილებისა, 7) თითო წარმომადგენელი სამაზრო კოოპერატივთა კავშირისა, 8) სხვა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლები, განსაკუთრებული მოწვევით და 9) სათათბირო ხმით ყველა დაინტერესებული მევენახე და სპეციალისტი.

2. ყველა წარმომადგენელს უნდა ჰქონდეს შესაფერი მანდატი გამომგზავნელ დაწესებულებიდან.

3. ყრილობას ხსნის მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი და შემდეგ ყრილობა ირჩევს პრეზიდიუმს.

4. ყრილობის სამუშაო საგანს შეადგენს წერილობითი და სიტყვიერ მოხსენებათა განხილვა, თანახმად დამტკიცებული პროგრამისა და მათ შესახებ დადგენილებების გამოტანა.

პროგრამა ყრილობისა:

1. მოხსენება კახეთის მევენახეობაში ფილოქსერის გავრცელებით შექმნილ მდგომარეობაზედ. მომხსენებელი ს. ჩოლოყაშვილი.

2. მოხსენებანი ადგილებიდან ვენახების მდგომარეობაზედ.

3. საჭირო ღონისძიებანი ვენახების აღდგენისათვის (ამერიკულ ვაზის სანერგების და დედა ვაზის გაშენება, საცდელ საჩვენებელი ვენახების მოწყობა, ნიადაგის გამოკვლევა და მათი აღნიშვნა რუკაზედ, პრაქტიკულ სკოლების და კურსების მოწყობა და ფართე აგრონომიული დახმარება და სხვა). მომხსენებელი საორგანიზაციო ბიურო.

4. ვენახების აღდგენისათვის საჭირო ორგანიზაციის შექმნა, მისი სტრუქტურა და საშუალებანი. მომხსენებელი საორგანიზაციო ბიურო.

5. მიმდინარე საკითხები.

ყრილობის მომწყობი ბიურო მოთავსებულია მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის მევენახეობის და მეღვინეობის ქვე განყოფილებაში.

თავმჯდომარე ბიუროსი: ი. ანდრონიკაშვილი.
მდივანი: ვ. ბიბილაშვილი.

142 3—2

ტირაჟ 1000

საქართვ. უმაღ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტეინის ქუჩ. № 2.